



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ შამგონას საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ა) ირმა ხუციშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);

წევრები:

ბ) ხათუნა საყვარელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

გ) ნანა ავაზაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

დ) ნინო გავაშელი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ე) ინგა გელაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ვ) ნანა ჩილინგარაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ზ) თემური კურცხალია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თ) ია სეხნიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ი) ნატო გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

კ) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლ) ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ შამგონის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	220373539

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი შამგონა
საფოსტო ინდექსი	2100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	shamgona@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	591052990

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	09/07/2024 MES 1 24 0000836111
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2024 წლის 06 და 07 აგვისტო

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი შამგონა.1 ძირითადი კორპუსი.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი შამგონა. 1 ძირითადი კორპუსი.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი შამგონა. 1ძირითადი კორპუსი.

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2024 წლის 6 და 7 აგვისტოს სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ შამგონას საჯარო სკოლაში ადგილზე ვიზიტი განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ, თავმჯდომარე ირმა ხუციშვილი, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი ხათუნა საყვარელიძე.



ვიზიტის პერიოდში ონლაინ შეხვედრები განხორციელდა საგნობრივი ექსპერტების მიერ შემდეგი შემადგენლობით:

ნანა ავაზაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო გავაშელი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ინგა გელაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნანა ჩილინგარაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თემური კურცხალია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ია სეხნიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნატო გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი),

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი შეიკრიბა და გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, დანართებად წარმოდგენილ საჭირო მასალებს. განხილვის შემდეგ, ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, შევათანხმეთ ვიზიტის დღის წესრიგი და გადაეგზავნა ხარისხის გნვითარების ეროვნულ ცენტრს. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის სტანდარტებს, მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. ექსპერტების მიერ განხორციელდა სკოლის ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობების დადგენა. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები გაესაუბრენ, როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლებს, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს. საგნობრივი ექსპერტების შეხვედრა სკოლის პედაგოგებთან განხორციელდა ონლაინ.

დაწყებითი საფეხურის ექსპერტის მიერ განხორციელდა ვიზიტის დაგეგმვამდე დოკუმენტაციის შესწავლა I- VI კლასებში საგნების მიხედვით (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება). ის მონაწილეობდა ავტორიზაციის ჯგუფის შეხვედრებში, სადაც კოლეგა ექსპერტებთან ერთად განხორციელდა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვა და დამუშავება. ის მონაწილეობდა საგნობრივ ექსპერტებთან (სახელმწიფო ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და საზოგადოებრივი მეცნიერებები) ერთად კათედრებთან დაგეგმილ შეხვედრებზე.

დაწყებითი საფეხურის ექსპერტის მიერ გაიცა რჩევები და გამოთხოვილ იქნა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც სკოლის მიერ მოწოდებული იქნა ვიზიტის დასრულებამდე.

ვიზიტის დასრულებისას ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.



წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება



	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)



მოსწავლეთა რაოდენობა: 230	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა, ადამიანური რესურსი და მზაობა გვამღებს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლაში მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა შესაძლოა განისაზღვროს მაქსიმუმ 230 მოსწავლით.
---------------------------------	--	--

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული დაა გამჭვირვალობის პრინციპის დაცვი ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი



სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	ხარვეზი
--------------	--------------------	---------

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 3.4.1.1.	1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილი უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო	1. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (22.10.2026წ) უზრუნველყოს ვიდეოსათვალთვალო კამერების ფუნქციონირება. 2. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (22.10.2026წ) წარმოადგინოს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტები/დასკვნა. 3. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (22.10.2026წ) წარმოადგინოს სკოლის შენობის ტექნიკური მდგრადობის და ექსპლუატაციაში შესვლის დასკვნა.



	დაწესებულების შემთხვევაში);	
ინდიკატორი N 3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (22.10.2026წ) უზრუნველყოს სკოლის ადაპტირებული გარემოს მოწყობა.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



--	--	--

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი 3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	სკოლას მიეცა რჩევა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის აყვანის.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.1.3	კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	(ხარისხის ექსპერტი) სასურველია კურიკულუმის შემუშავებისას მეტი ყურადღება დაეთმოს შინაარსობრივ და სტრუქტურულ საკითხებს. შეინიშნება ზედაპირული, ფორმალური მიდგომა შედგენის პროცესში, გაპარულია შეცდომები, რაც გასაუბრების და კურიკულუმის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაცნობისას დადასტურდა.
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	(საზოგადოებრივი მეცნიერებები) კარგი იქნება უფრო მეტად ჩანდეს მოსწავლეთა ჩართულობა კურიკულუმის შექმნის ეტაპზე და მათი ინტერესების გათვალისწინება და პერიოდულად მოხდეს კურიკულუმის გადახედვა, ტექნიკური ხარვეზების თავიდან აცილების მიზნით.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	(საზოგადოებრივი მეცნიერებები) განმავითარებელი შეფასება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეებში ავტონომიურობისა და თვითრეგულაციის განვითარებას, უმჯობესია უფრო დაკონკრეტდეს რეკომენდაციები, როგორ უნდა გააუმჯობესოს მოსწავლემ შედეგები.
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	(მათემატიკა) სასურველია ცალკეული თემის დამუშავებისა და შემოქმედებითი პროდუქტის მომზადებისას გამოყენებული იყოს უფრო მრავალფეროვანი რესურსები (V – VI კლასი)
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	(მათემატიკა) სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ზოგადია. სასურველია შეფასების ზოგადი რუბრიკა დაზუსტდეს კონკრეტული თემისათვის მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის შედეგების შესაბამისად.
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	(სახელმწიფო ენა) სასურველია, დოკუმენტაციით წარმოდგენილი დამუშავებული თემები და შუალედური მიზნის მისაღწევად შესრულებული ყველა კომპლექსური ბუნების დავალება აისახოს კურიკულუმებში, სრულად



		შევისოს და საბოლოო სახე მიიღოს დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის სახელმწიფო ენის კურიკულუმებმა.
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	(სახელმწიფო ენა) სასურველია კათედრამ ყველა თემის ფარგლებში შექმნას და კურიკულუმებში ასახოს შუალედური მიზნების მისაღწევი კომპლექსური ბუნების დავალებები.
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	(სახელმწიფო ენა) სასურველია მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს მათ მიერ დასახელებული მრავალი საინტერესო აქტივობა, რომლებსაც იყენებენ, სრულყოფილად იყოს გაწერილი კურიკულუმებში, რათა სხვა კოლეგებისთვისაც ხელმისაწვდომი გახდეს მათი გამოყენება სასწავლო პროცესში.
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად	(სახელმწიფო ენა) სასწავლო პროცესში, საჭიროებიდან გამომდინარე, შერჩეული და დამუშავებული თემები, სასურველია, სრულყოფილად იყოს შეტანილი კურიკულუმებში.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	(სახელმწიფო ენა) სასურველია, დაწყებითი საფეხურის ყველა კლასისთვის შეიქმნას განმავითარებელი შეფასებების სრულყოფილი ფორმები, V–VI კლასებისთვის დაიხვეწოს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები..
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	(ფიზიკური აღზრდა და სპორტი) სკოლას აქვს წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც საჭიროებს დახვეწას. სასურველია განმავითარებელი შეფასება გაწერილი იყოს ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მოცემულ სამიზნე ცნებებსა; სამიზნე ცნებებთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებსა; მოსალოდნელ შედეგსა და დაგეგმილი კომპლექსური დავალებასთან დაკავშირებით.
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	(საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) სასურველია მოსწავლეების მზაობის, ინტერესების, საჭიროებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მასწავლებელმა კურიკულუმში კიდევ დაამატოს და გაამრავლო ეროვნოს აქტივობები, რომელშიც გამოჩნდება დიფერენცირებული მიდგომები.



ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	(საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) სასურველია მე-2 კლასის გაანმავითარებელი შეფასების რუბრიკაში თემა ჩაწეროთ „ ხმელეთი, როგორც გარემო“, მოლოდინები დაუკავშიროთ საკითხს წიწვოვანი და ფოთლოვანი მცენარეები. მე-6 კლასში თემაში ჩაწეროთ „ადამიანის სხეული და ჯანმრთელობა“, სამიზნე ცნება „ ორგანიზმი“. მოლოდინები დაუკავშირეთ საკითხს „ ჯანსაღი ცხოვრების წესი“
--------------------	--	---

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.1.3	კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	(ხარისხის ექსპერტი) სასურველია კურიკულუმის შემუშავებისას მეტი ყურადღება დაეთმოს შინაარსობრივ და სტრუქტურულ საკითხებს. შეინიშნება ზედაპირული, ფორმალური მიდგომა შედგენის პროცესში, გაპარულია შეცდომები, რაც გასაუბრების და კურიკულუმის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაცნობისას არ დადასტურდა.
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	(საზოგადოებრივი მეცნიერებები) სასურველია უფრო მეტად ჩანდეს მოსწავლეთა ჩართულობა კურიკულუმის შექმნის ეტაპზე და მათი ინტერესების გათვალისწინება და პერიოდულად მოხდეს კურიკულუმის გადახედვა, ტექნიკური ხარვეზების თავიდან აცილების მიზნით.
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	(საზოგადოებრივი მეცნიერებები) სასურველია როდესაც კათედრაზე მოხდება კურიკულუმის რევიზია მეტად გამახვილდეს მომავალი სასწავლო წლისათვის ყურადღება სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებზე, საკითხის გაგების და ნასწავლის გამოხატვის ალტერნატიულ გზებზე.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური	(საზოგადოებრივი მეცნიერებები) შეფასების ვალიდურობისათვის უმჯობესია უფრო ზუსტად განისაზღვროს შეფასების მიზნები და ისე შეირჩეს დავალებები.



ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	(მათემატიკა) სასურველია თემის/საკითხების ჯამური საათების განსაზღვრისას გათვალისწინებული იყოს საგნის წლიური საათების რაოდენობა (VII კლასი)
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	(სახელმწიფო ენა) სასურველია, დოკუმენტაციით წარმოდგენილი დამუშავებული თემები და შუალედური მიზნის მისაღწევად შესრულებული ყველა კომპლექსური ბუნების დავალება აისახოს კურიკულუმებში.
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	(სახელმწიფო ენა) სასურველია კათედრამ ყველა თემის ფარგლებში შექმნას და კურიკულუმებში ასახოს შუალედური მიზნების მისაღწევი კომპლექსური ბუნების დავალებები.
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	(სახელმწიფო ენა) სასურველია, წარმოდგენილ გაკვეთილის გეგმებში სსსმ მოსწავლეთათვის განკუთვნილი დავალებები იყოს მრავალფეროვანი.
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად	(სახელმწიფო ენა) სასწავლო პროცესში, საჭიროებიდან გამომდინარე, შერჩეული და დამუშავებული თემები, სასურველია, სრულყოფილად იყოს შეტანილი კურიკულუმებში.
ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	(სახელმწიფო ენა) სასურველია, სასწავლო პროცესში გამოყენებული დამხმარე რესურსები სრულად იყოს მითითებული კურიკულუმებში.



ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	(ფიზიკური აღზრდა და სპორტი) სკოლას აქვს წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც საჭიროებს დახვეწას. სასურველია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა გაწერილი იყოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში მოცემულ სამიზნე ცნებებსა, ქვეცნებებსა და დაგეგმილი კომპლექსური დავალებასთან დაკავშირებით.
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	(საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) სასურველია ბიოლოგია VIII კლასი თემაში „სიცოცხლის ორგანიზაციის დონეები“ სამიზნე ცნება „ჯანმრთელობა და დაავადების“ მაგიერ ჩაწეროს „ბიომრავალფეროვნება.“ ბიოლოგია IX კლასი თემაში „უჯრედის მეტაბოლიზმი“ დაამატოს სამიზნე ცნება „ბიომრავალფეროვნება“ ფიზიკა VII კლასში თემებში დასამუშავებელი სამიზნე ცნებები სტანდარტთან შესაბამისობაში მოიყვანოს. ფიზიკა IX კლასში 2 თემა დატოვოს „არათანაბარი და მრუდწირული მოძრაობა „ და „ სტატიკა და დინამიკა“ , დანარჩენი საკითხებში გადაიტანოს. ქიმია IX კლასი - ჩაამატოს „ მაგალითები შედარებისთვის“
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	(საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) სასურველია მოსწავლეების მზაობის, ინტერესების, საჭიროების და შესაძლებლობების გათვალისწინებით მასწავლებელმა კურიკულუმში კიდევ დაამატოს სხვადასხვა აქტივობები, რომელშიც გამოჩნდება დიფერენცირებული მიდგომები. ისგ-ში გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები გაწეროს მთელი სასწავლო წლისთვის თემებისა და სამიზნე ცნებების შესაბამისად.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.1.3	კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	(ხარისხის ექსპერტი) სასურველია კურიკულუმის შემუშავებისას მეტი ყურადღება დაეთმოს შინაარსობრივ და სტრუქტურულ საკითხებს. შეინიშნება ზედაპირული, ფორმალური მიდგომა შედგენის პროცესში, გაპარულია



		შეცდომები, რაც გასაუბრების და კურიკულუმის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაცნობისას არ დადასტურდა.
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	(საზოგადოებრივი მეცნიერებები) სასურველია როდესაც კათედრაზე მოხდება კურიკულუმის რევიზია მეტად გამახვილდეს მომავალი სასწავლო წლისათვის ყურადღება სწავლა-სწავლების ერთ-ერთ ძირითად პრინციპზე სიღრმისეულ სწავლებაზე, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებაზე,
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	(მათემატიკა) სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ზოგადია. სასურველია: • შეფასების ზოგადი რუბრიკა დაზუსტდეს კონკრეტული თემისათვის მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის შედეგების შესაბამისად. • შეიქმნას განმავითარებელი შეფასების რუბრიკები თითოეული თემისათვის სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით.
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	(სახელმწიფო ენა) სასურველია, დოკუმენტაციით წარმოდგენილი დამუშავებული თემები და შუალედური მიზნის მისაღწევად შესრულებული ყველა კომპლექსური ბუნების დავალება აისახოს კურიკულუმებში, სრულად შეივსოს და საბოლოო სახე მიიღოს საშუალო საფეხურის ყველა კლასის სახელმწიფო ენის კურიკულუმებში.
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოდგენს შემოქმედებით პროდუქტს	(სახელმწიფო ენა) სასურველია კათედრამ ყველა თემის ფარგლებში შექმნას და კურიკულუმებში ასახოს შუალედური მიზნების მისაღწევი კომპლექსური ბუნების დავალებები.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	(ფიზიკური აღზრდა და სპორტი) სასურველია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა გაწერილი იყოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საშუალო საფეხურის კურიკულუმებში მოცემულ სამიზნე ცნებებსა; ქვეცნებებსა და დაგეგმილი კომპლექსური დავალებასთან დაკავშირებით. სკოლას აქვს

		წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა რომელიც საჭიროებს დახვეწას.
ინდიკატორი 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	(საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) სასურველია ბიოლოგია X კლასი - პირველი თემა „ უჯრედის ბიოლოგია“ დატოვოთ, დანარჩენი საკითხებში გადაიტანოთ. ამავე თემაში სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების მაგიერ ქვეცნებები ჩაწეროთ. ქიმია XI კლასი -თემის სვეტში მხოლოდ თემები დატოვოთ, დანარჩენი საკითხებში გადაიტანოთ.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;



3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ შამგონას საჯარო სკოლის ფილოსოფია: მისია, ხედვა და ღირებულებები შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიაა პოზიტიური, კონკურენტუნარიანი და სწავლისთვის მასტიმულირებელი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ფიზიკურად, ზნეობრივად განვითარებული მომავალი თაობის აღზრდას, მოსწავლეთა პოტენციალის გამოვლენას, მზრუნველ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. სკოლის ხედვაა- თითოეული მოსწავლისთვის ხარისხიანი, თანაბარი, უწყვეტი განათლებით, პოზიტიური გარემოს შექმნით 2030 წლისთვის სიახლის შეცნობის მსურველ, განათლებულ, ეროვნული თვითმყოფადობის დამცველ მოქალაქეებად ჩამოყალიბება. ღირებულებები: სამართლიანობა, მონაწილეობითი მართვა, ღიაობა, თანასწორობა და ინიციატივების მხარდაჭერა. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არის სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი. მისია კონკრეტულად ასახავს იმ ამოცანებს, ძლიერ მხარეებს, რაც სკოლის იდენტობის ამსახველია. ხედვა აღწერს სამომავლოდ, დროის გარკვეულ პერიოდში როგორ განვითარდება სკოლა თავისი საქმიანობით და რა წარმატებას მიაღწევს, როგორ უწყობს ხელს ისეთი უნარების გამომუშავებას, რაც მოსწავლეს ეხმარება აქტუალური შესაძლებლობების მიღმა არსებული ამოცანების გადაჭრაში. სკოლის მისიიდან და ხედვიდან გამომდინარე, სასკოლო საზოგადოება თანხმდება ისეთ ღირებულებებზე, რომ წარმართული საქმიანობა მიმართულია მისიის რეალიზებასა და სტრატეგიული მიმართულებების ეფექტურ განხორციელებაზე. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა მოქმედი სკოლის ფილოსოფია, სკოლის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ტექნიკური ხარვეზის გამო, მისია, ხედვა, ღირებულებები არასწორი ფორმით იქნა წარმოდგენილი სკოლის თვითშეფასების კითხვარში. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

2. სკოლა თავისი მისიით, ხედვით და ღირებულებებით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვრულია როგორ გარემოში, როგორი ადამიანური და მატერიალური რესურსით შეძლებენ მისიით განსაზღვრული ღირებულებების მქონე პიროვნების აღზრდას. სკოლისთვის პრიორიტეტია მოსწავლეებს დაეხმარონ იპოვონ თავიანთი მიდრეკილებები და განავითარონ, რათა მომავალში საზოგადოებაში საკუთარი ადგილი დაიმკვიდრონ. სკოლა განსაკუთრებულ აქცენტს თანამშრომლობით კულტურის დანერგვაზე და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებაზე აკეთებს. სოციო-კულტურული ატმოსფეროს ფორმირებისათვის სასკოლო საზოგადოებას სკოლა აძლევს შემოქმედებით თავისუფლებას და ხელს უწყობს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოსავლენად. პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო - კულტურული სივრცის

უზრუნველყოფის მიზნით, მოსწავლეები ჩართული არიან სხვადასხვა კონკურსში, ღონისძიებასა და პროექტში, როგორც სკოლაში, ასევე სკოლის გარეთ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ განხორციელებული აქტივობებში აქტიურად არის ჩართული სასკოლო საზოგადოება. პროექტების განხორციელების რეფლექსიებში და მასწავლებელთა პორტფოლიოებში ჩანს თანამშრომლობა, გუნდურობა და კეთილგანწყობილი დამოკიდებულებები.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. 2024 წლის 22 ივლისის N2-79 ბრძანებით სკოლაში დამტკიცებულია სკოლის სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრა მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითადი ეტაპები, პროცესზე პასუხისმგებელი პირები და პროცესში ჩართული მხარეები. სკოლის დირექტორთან და მასწავლებლებთან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი შეხვედრების დამადასტურებელი ფოტო მასალებით, სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარებული გამოკითხვებით დასტურდება, რომ სამუშაო ჯგუფებმა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით იმუშავეს სკოლის ფილოსოფიის- მისია, ხედვა და ღირებულებების შექმნაზე, რომელიც დეკლარირებულია 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

4. სკოლის მისია და ხედვა გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიის მე-9 მუხლში აღწერილია პროცედურები, როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის უკუკავშირის მიღების მიზნით მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება. რა აქტივობებს ახორციელებს სამუშაო ჯგუფი, რის საფუძველზეც შემუშავდება სკოლის ფილოსოფია. კანონმდებლობის შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმა თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ. აღსანიშნავია, რომ სასკოლო საზოგადოება იზიარებს მისიაში გაცხადებულ მიმართულებებსა და აცოცხლებენ მათ ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში. სკოლაში ხორციელდება ბევრი აქტივობა და ღონისძიება, რომლებიც მიმართულია ადამიანთა უფლებების დაცვაზე, თანასწორობაზე და ა.შ. სკოლის წარმომადგენლები გასაუბრების დროს აცხადებდნენ, რომ ყოველდღიურ სასკოლო პრაქტიკაში აცოცხლებენ მისიაში გაცხადებულ მიმართულებებს. სასკოლო საზოგადოება თანხმდება, რომ თითოეულმა წევრმა უნდა იხელმძღვანელოს სკოლის მისიის და ხედვის განხორციელების მიზნით შემდეგი პრინციპებითა და მიდგომებით: პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული, კეთილსინდისიერება, უკუკავშირის მექანიზმების გაძლიერება და ა. შ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების საჯაროობას უზრუნველყოფს სკოლა, აღნიშნული ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც მტკიცდება სასწავლო წლის დასაწყისში. სასკოლო სასწავლო გეგმა თავის მხრივ საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებულ პირთათვის. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე, რომელიც შექმნილია მართვის საინფორმაციო სისტემის დახმარებითა და მხარდაჭერით, ასევე გამოკრულია სკოლის შენობის ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილას. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები



ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის .

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლა ახორციელებს ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად სწავლებას სამივე საფეხურზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 13 სექტემბრის N448 ბრძანებით

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით მინიჭებული აქვს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი. სკოლის სახელწოდებად განისაზღვრა: სახელწოდება- „სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ შამგონას საჯარო სკოლა“ .

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა.
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- სკოლის დირექტორის ბრძანებები;
- ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან;
- პროექტები.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა



1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2024 წლის 22 ივლისის ბრძანება N2- 79 -ის საფუძველზე სკოლამ შეიმუშავა და დაამტკიცა სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საჭირო მექანიზმებსა და ნაბიჯებს. მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილია სტრატეგიული დაგეგმვის შემადგენელი ეტაპებია: სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ქვეპროცესები, პროცესში ჩართული მხარეები, ძირითადი მიდგომები, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება, თანამონაწილეობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, სამართლიანობა, გაზიარების მექანიზმები, სამუშაო ჯგუფის ფორმირება, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სტრატეგიული დასამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება და ა.შ. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების მიხედვით ჩანს, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შექმნის მეთოდები, რომლის მთავარ ორიენტირად მაქსიმალური ჩართულობა, ასევე უკუკავშირისა და მონიტორინგის გათვალისწინება განისაზღვრა.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი(სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N7.23.10.2023წ) სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემადგენელი ნაწილებია: სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია, სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი, სტრატეგიული დაგეგმარების პროცესის აღწერა, მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების პროცესი, სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა და SWOT ანალიზი, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი, განვითარების სტრატეგიები, სტრატეგიული მიმართულებები, მიზნები, კონკრეტულ ამოცანები და ამ ამოცანების ფარგლებში განსახორციელებელ აქტივობები, საჭირო რესურსები (ფინანსური, მატერიალური, ადამიანური) ძირითადი ინფორმაციის წარმოდგენის შემდეგ სკოლამ სტრატეგიული განვითარების



შვიდწლიან გეგმაში გამოიყენა სამოქმედო გეგმის დოკუმენტში გამოყენებული ჩარჩო ცხრილი, რათა გაზომვადი ინდიკატორები ყოფილიყო თვალსაჩინო და შვიდწელზე გათვლილი.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

3. სკოლამ წარმოდგინა 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან, მასში გათვალისწინებულია სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი სტრატეგიული მიზნები. სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, გასული სასწავლო წლის შეჯამების და თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე, გულისხმობს მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარების საფუძველზე

- სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.
- მასწავლებელთა თანამშრომლობის გაღრმავებას.
- კათედრებს შორის შეხვედრების უზრუნველყოფას.
- არაფორმალური განათლების გაძლიერებას.
- სასკოლო პერსონალისა და ადმინისტრაციის თანამშრომლობის გაღრმავებას.
- მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობას.
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას.

სამოქმედო გეგმა შესაბამისობაშია სტრატეგიული გეგმის პროექტის მიზნებთან და ამოცანებთან. ამგვარად, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან 2023-2024წ. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, წარმოდგენილია შესრულების გაზომვადი ინდიკატორები. სტრატეგიული მიზნის შესაბამისად გაწერილია აქტივობების რეალისტური განხორციელების პერიოდი, შეფასების ინდიკატორები, რაც თვალსაჩინოს ხდის რამდენად შესრულდა კონკრეტული ამოცანა, ასევე გაწერილია შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, ჩართული მხარეები, შეფასების წყარო ანუ, შეფასებისთვის საჭირო დოკუმენტები, ცნობები, ოქმები, ანგარიშები და შესრულებისთვის საჭირო შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N7. 23.10.2023წ



2. სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა.

3. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

4. საგნობრივი კათედრის სხდომის ოქმები, ანგარიშები.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
4. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული და სამოქმედო დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტში მკაფიოდ იკითხება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, კერძოდ დოკუმენტის 11-ე მუხლში მოცემულია სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი/შეფასების ფაზაზე განსახორციელებელი აქტივობები, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია. მოცემულია მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელი ერთეულები/პირები, განხორციელების ვადები. შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა მოხდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება. სტრატეგიული გეგმის შეფასება სკოლის, მისი რომელიმე ერთეულის თუ კონკრეტული თანამშრომლის მუშაობის ეფექტურობის შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტია. აღნიშნულზე დაყრდნობით სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2. სტრატეგიული და სამოქმედო დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილი პროცესების მიხედვით, სკოლა გეგმავს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა

და სიტუაციის (სკოლის პირველადი ავტორიზაცია) ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

3. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით სკოლა გეგმავს მიღებული შედეგების გასაჯაროებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სიტუაციის (სკოლის პირველადი ავტორიზაცია) ანალიზის შედეგად ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

4. სკოლა გეგმავს, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის დროს მიღებული შედეგები გამოიყენოს მომავალი დაგეგმვისათვის. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სიტუაციის (სკოლის პირველადი ავტორიზაცია) ანალიზის შედეგად ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასება:

სტრატეგიული და სამოქმედო დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი.

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას



1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დირექტორის N2-75(07.11.2023წ.)- ბრძანებით- თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ. კანონმდებლობის შესაბამისად არსებობს სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. საშტატო განრიგის შესაბამისად, სკოლას ჰყავს: სკოლის დირექცია - დირექტორი, დირექტორის მოადგილე და ბუღალტერი, ადმინისტრაცია - მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, არასაშტატო ერთეულები -2 დამლაგებელი, 2- დარაჯი, ექიმი, ცეცხლფარეში. სკოლაში დასაქმებულია 23 მასწავლებელი, მათგან წამყვანი- 9პედაგოგია,უფროსი-12.მოწვეული-1,უსტატუსო-1. სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაციისთვის ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის და „საჯარო სკოლის წესდების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების მიხედვით და თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით, რომლებშიც მკაფიოდაა გაწერილი მათი უფლება-მოვალეობები. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სტრუქტურული ერთეულების დებულებები, სადაც მკაფიოდ განსაზღვრულია მათი ფუნქციები. ასევე,დოკუმენტაციის შესწავლისა და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეულები საქმიანობას განხორციელებენ განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, სკოლის დირექტორის N02-75(07.11.2023წ) ბრძანებით დამტკიცებული თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების შესახებ და თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებებით, რომლებშიც

სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა ეფექტურად წარიმართოს. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად განსაზღვრულია თითოეული თანამდებობის ფუნქცია და მოვალეობები, რა განათლება უნდა ჰქონდეს თითოეულ დასაქმებულს. როგორც ადგილზე ვიზიტისას სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით და გარემოს შეფასებით დადგინდა სკოლაში დასაქმებულნი არიან პირები, რომლებიც ითავსებენ როგორც ადმინისტრაციულ, ასევე საგაკვეთილო პროცესს, მათი ფუნქციები გამიჯნულია, არ ხდება ფუნქციათა აღრევა, ან გადაკვეთა, რაც თავისთავად ხელს უწყობენ სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
თანამდებობრივი ინსტრუქციები.

- შრომითი ხელშეკრულებები.
- საშტატო განრიგი.
- გასაუბრება.

3

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში ადამიანური რესურსების მართვა რეგულირდება სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ შამგონის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 22 მაისის N2-38 ბრძანებით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ. დოკუმენტის მიზანია ადამიანური რესურსების მართვა წარიმართოს ეფექტიანად კანონთან, სკოლის მისისასთან და ხედვასთან სრული შესაბამისობით. ადამიანური რესურსების მართვა გაწერილია ასევე, სკოლის შინაგანაწესში, რაც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შინაგანაწესით განსაზღვრულია სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, დაწყებისა და დასრულების დრო, ანაზღაურებადი შვებულება, ანაზღაურების გარეშე შვებულება, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახეები და სხვა. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს. შინაგანაწესი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის და განთავსებულია სკოლის შენობაში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას, სკოლის საინფორმაციო დაფაზე, ასევე, სკოლის ვებგვერდზე. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესს აცნობენ მოსწავლეებსა და მათს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. ყოველი ცვლილება, რომელიც შედის შინაგანაწესში და არაუგვიანეს 5 დღისა ეცნობება დაინტერესებულ პირებს.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2.როგორც სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, კერძოდ სკოლის შინაგანაწესსა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის (ბრძანებაN 02-82. 09.11.2023წ) განსაზღვრულია როგორ ხდება საჭიროების დადგენა და ამ საჭიროების შემთხვევაში კადრების მოზიდვა ან ფუნქციათა ისე გადანაწილება, რომ სასწავლო პროცესს პრობლემა არ შეექნას. განსაზღვრულია როგორ მოხდება საჭირო პოზიციაზე მოთხოვნის დაკმაყოფილება შიდა გადაადგილებით (ფუნქციის დაკისრება, გადაყვანა ახალ პოზიციაზე), თუ საჭირო კადრის გარედან მოზიდვით. ვაკანტური ადგილის შემთხვევაში ცხადდება შიდა და გარე კონკურსი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

3.პერსონალის შერჩევა ხდება კანონმდებლობის შესაბამისად, შიდა და გარე ვაკანსიის გამოცხადების გზით, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით; სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად, ასევე სკოლის დირექტორის N02-38

ბრძანებით(22.11.2024წ) დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი,სადაც მე-6 მუხლში გაწერილია თანამშრომელთა მიღების წესი. დოკუმენტის შესაბამისად განსაზღვრულია კონკურსის მიზანი, პრინციპები, კომისიის ვალდებულებები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სხვა. საკონკურსო კომისიის მუშაობის პრინციპია ობიექტურობა, გამჭვირვალობა, არადისკრიმინაციულობა. ვაკანსია გამოცხადებულია მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე www.teacherjobs.ge, საბუთებს არჩევს სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან როგორც სკოლის წარმომადგენლები, ასევე, მასწავლებელთა პროფესიული კავშირის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები და მოწვეული დამოუკიდებელი სპეციალისტი. სკოლამ წარმოადგინა საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები. სხვა პერსონალის მოზიდვისა და დასაქმების ობიექტურად და გამჭვირვალედ წარმართვისთვის სკოლას აქვს შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და შეფასების კრიტერიუმების დოკუმენტები.

სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის დროს თანამშრომელთა პირად საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომელთა წარმოდგენილი არ ჰქონდათ ცნობები: სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის, ნასამართლობის შესახებ და 2020 წლიდან დასაქმებულებს უფლების ჩამორთმევის შესახებ . სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც აღნიშნულია , რომ სკოლის ყველა თანამშრომელს უკვე წარმოდგენილი აქვს აღნიშნული ცნობები. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

4. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებების, კონკურსის გამოცხადების ბრძანებების, მასწავლებლის შესარჩევად ღია და შიდა კონკურსის ჩატარების წესის შესახებ ბრძანების, პერსონალის პირადი საქმეების დათვალიერებით დასტურდება, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლას შრომითი ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული ყველა დასაქმებულ პერსონალთან. შრომით ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის



დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნები. მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები სტატუსის შესაბამისია და გათვალისწინებულია კანონმდებლობით განსაზღვრული უფროსი, წამყვანი და მოწვეული მასწავლებლებისთვის დამატებითი ფუნქციები. სკოლის პერსონალის პირად საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ: ყველა მასწავლებელს პირად საქმეებშიწარმოდგენილი აქვს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) განაცხადება;
 - ბ) CV;
 - გ) პირადობის მოწმობის ასლი;
 - დ) ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი;
 - ე) სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

5. როგორც ადგილზე გასაუბრებისას და დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება გუნდურობასა და თანამშრომლობას, რაც წარმოადგენს ამ სკოლის ძლიერ მხარეს. პერსონალის მართვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გუნდური და თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას, რაც დასტურდება პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს და სხვა სტრუქტურული ორგანოების სხდომის ოქმებით. სკოლის პერსონალთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ ისინი ჩართულნი არიან და მონაწილეობენ სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და პრობლემების მოგვარებაში. კათედრის ფარგლებში და კათედრებს შორის არის ეფექტური თანამშრომლობა. სკოლის თანამშრომლები ჩართული არიან თანამშრომელთა შერჩევის პროცედურებშიც. სკოლის პედაგოგები ინტერვიუების დროს საუბრობდნენ თანამშრომლობაზე, ურთიერთდასწრებებზე, ერთად განხორციელებული პროექტებზე და ა.შ. გამოიკვეთა, რომ თანამშრომლებს ეძლევათ გარკვეული თავისუფლება, შეუძლიათ დამოუკიდებლად მოქმედება, გადაწყვეტილების მიღება და მასზე პასუხისმგებლობის აღება. მონაწილეობით ორგანიზაციულ კულტურაზე დაყრდნობით სკოლაში ხორციელდება ეფექტური კომუნიკაცია, მოსმენა, ურთიერთპატივისცემა და უკუკავშირი.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

6.სკოლაში ვიზიტის დროს სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლას აქვს გამოცდილების და წარმატების არა ერთი მექანიზმი .კერძოდ აქვთ აქტიური შეხვედრები საგნობრივი კათედრის ფარგლებში, სადაც უზიარებენ ერთმანეთს როგორც წარმატების, ისე არსებული პრობლემების შესახებ და ერთობლივად ახდენენ შედეგების ანალიზს და პრობლემის გადაჭრის გზების დასახვას. სკოლაში გამოიყენებენ წარმატებულ გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების სხვადასხვა საშუალებას: ურთიერთდასწრებას, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტს, სხვადასხვა კათედრის მიერ განხორციელებულ ერთობლივ პროექტებს, ინტეგრირებულ გაკვეთილებს. მასწავლებლები რეგულარულად ახორციელებენ შეხვედრებს სხვა პედაგოგებთან, აცნობენ სიახლეებს და უზიარებენ ტრენინგებზე მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას. შინაგანაწესის შესაბამისად სკოლაში წახალისების გამჭვირვალე სისტემაა , ამა თუ იმ პოზიციაზე განსაკუთრებული წარმატებისათვის თანამშრომლებს შინაგანაწესის შესაბამისად უცხადებენ მადლობას. წარმატებული გამოცდილების გაზიარება და აღიარება ხდება როგორც საგნობრივ კათედრებზე, ასევე სასკოლო დონეზე.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი.
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.
- თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები.
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.
- საგნობრივი კათედრის სხდომის ოქმები.
- თანამშრომელთა პირადი საქმეები.
- შრომითი ხელშეკრულებები.
- გასაუბრება.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. სკოლაში დაინერგა „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი. სკოლაში ფუნქციონირებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის მართვისა და განვითარების ჯგუფი, რომლის მიზანია საგაკვეთილო პროცესებზე დაკვირვება, უკუკავშირის გაცემა და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. ჯგუფის წევრები არიან სკოლის წამყვანის სტატუსის მქონე მასწავლებლები, ჯგუფში წარმოდგენილია ყველა საგნობრივი კათედრიდან წევრი. კათედრის წევრები ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით ესწრებიან საგაკვეთილო პროცესზე, რისთვისაც შედგენილია განრიგი. უკუკავშირის ერთმანეთს აძლევენ როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმითაც, შემუშავებული აქვთ შეფასების კრიტერიუმები. პრობლემებს განიხილავენ კათედრის სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, აფასებენ მუშაობის პროცესს და უკუკავშირის სახით, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორების გზებს. ამავე დროს, სკოლას აქვს მაძიებლებთან მუშაობის გამოცდილება. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მე-16 მუხლით განისაზღვრება თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება. ვიზიტის დროს სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის ანგარიშები.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2.სკოლაში უწყვეტად ხორციელდება პერსონალის პროფესიული ზრდა, სამუშაო პროცესის დაგეგმვის, განხორციელებისა და შედეგებზე დაკვირვების საფუძველზე, რაც ხდება როგორც გარე, ასევე შიდა მექანიზმების საშუალებით გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად. ადამიანური რესურსის განვითარების მიზნით სკოლაში მიმდინარეობს მასწავლებელთა თვითგანვითარების ხელშეწყობა, შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკულად საკლასო სივრცეში განხორციელება. სკოლამ დადასტურებდა წარმოდგინა ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის სამოქმედო გეგმა, სადაც იკითხება საჭიროებების გამოვლენისა და რეაგირების საჭირო ინსტრუმენტები. ასევე წარმოდგენილ იქნა გაკვეთილებზე დასწრებისას გამოვლენილი უკუკავშირების, კათედრების ანალიზებისა და მასწავლებელთა თვითშეფასების დოკუმენტების ანალიზის შედეგად შემუშავებული გეგმების განხორციელების მასალები. სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ უკუკავშირის, კათედრების ანგარიშის და მასწავლებელთა თვითშეფასების საფუძველზე, იკვეთება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, ხდება საჭიროებების გამოვლენა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3.სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე -16 მუხლი განსაზღვრავს თანამშრომელთა პროფესიულ და კარიერულ განვითარებას. ამ დოკუმენტის მიხედვით კარიერული ზრდა ნებაყოფილობითია და სურვილის შემთხვევაში ხელმისაწვდომია ნებისმიერი მასწავლებლისთვის. ასევე, სკოლა სთავაზობს პროფესიული განვითარების სხვადასხვა მეთოდს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შეთავაზებული სერვისებით. კერძოდ, მასწავლებლები საჭიროების შესაბამისად მონაწილეობენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში. არასამთავრობო ორგანიზაცია „CENN“ - ის მიერ მასწავლებლები გადამზადდნენ სომხეთში გარემოსდაცვითი პროგრამის მიმართულებით თემაზე - „მდგრადი განვითარების 17 მიზანი“. KEY CONSULTING-ის მიერ ორგანიზებულ არაერთ მოდულში მიიღეს მასწავლებლებმა მონაწილეობა, მათ შორის, უცხო ენის მასწავლებლებმა - “British Council“-ის მიერ დაგეგმილ ტრენინგებში. ტრენინგებსა და სემინარებზე შეძენილ ცოდნას მასწავლებლები ერთმანეთს აქტიურად უზიარებენ კათედრებსა თუ შეხვედრებზე. თანამედროვე მეთოდების დანერგვას ერთობლივად ცდილობენ გაკვეთილზე ხარისხიანი თანამშრომლობის მიზნით.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

4.სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე -14 მუხლი მკაფიოდ აყალიბებს როგორ და რა პრინციპების დაცვით ხდება ახალი თანამშრომლის ადაპტაცია სამუშაო გარემოსთან. სკოლა ხელს უწყობს თანამშრომლების ინტეგრაციას სასწავლო გარემოსთან. ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის მიზნით მათ აცნობენ შიდა სასკოლო რეგულაციებს, აცნობენ თანამშრომლებს, წარდგენისას ხაზს უსვამენ მათ ძლიერ

მხარეებს, აწევრიანებენ პროფესიულ და შიდა სოციალურ ჯგუფებში. ისინი მონაწილეობას იღებენ სტრუქტურული ერთეულების მუშაობაში. სასკოლო საზოგადოებისთვის ხელმოსაწვდომია საჭირო რესურსები.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5.სკოლა მუდმივად ითვალისწინებს მასწავლებელთა ინიციატივებით დაგეგმილ სხვადასხვა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობების განხორციელებას და ამ მიზნით კათედრების მომართვის საფუძველზე უზრუნველყოფს მათ ყველა ტიპის საგანმანათლებლო რესურსით. კერძოდ, პროექტებს, ურთიერთდასწრებებს და კათედრების აქტიურ თანამშრომლობას. დირექცია სკოლა ყოველწლიურად ავლენს გამორჩეულ მასწავლებელს წლის საუკეთესო მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად, ამისთვის სკოლა შემუშავებული აქვს მასწავლებლის შეფასებისთვის საჭირო კრიტერიუმები.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.
- საგნობრივი კათედრის ოქმები.
- სკოლის შინაგანაწესი.
- ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი.
- გასაუბრება.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება სკოლის შინაგანაწესის, თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებების, სკოლის მისიისა და ხედვის შესაბამისად. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარების და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების დადგენა და პროფესიული განვითარება, რაც ხელს უწყობს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს.

სკოლას სასწავლო-სასკოლო გეგმაში აქვს დოკუმენტურად გაწერილი ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად მონიტორინგისა და შეფასების ვალდებულება. სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის კომპონენტების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები: კვლევები, ანალიზები, კათედრის სხდომის ოქმები და სხვა. აღნიშნული დოკუმენტაციით სკოლა არეგულირებს სასწავლო გარემოს, სწავლა/სწავლების პროცესის მართვას და საფუძვლად უდევს სკოლის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება. დირექცია და ადმინისტრაცია ხარისხის უზრუნველსაყოფად იყენებს სხვადასხვა ტექნიკურ აღჭურვილობას, სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის მიწოდებას მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის, ასაკობრივი ჯგუფისა და მათი განვითარების დონის შესაბამისად, მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სკოლის ბიბლიოთეკაში არის სამუშაო სივრცე და მეთოდური ლიტერატურა. სკოლა უზრუნველყოფილია თანამედროვე საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიებით, სახელმძღვანელოებითა და კომპიუტერული ტექნიკით. სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა და მონიტორინგი ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს დაგეგმვას, განხორციელებას,

შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას, ინტერვენციას და მის შედეგებზე დაკვირვებას, შემდგომი საჭიროებების დადგენისთვის. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

2.სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია და აღწერილია თითოეულ თანამშრომელთან გაფორმებული შრომით ხელშეკრულებაში, თანამდებობრივ ინსტრუქციებში და სასკოლო კურიკულუმში, რომელიც სკოლის მისიასთან თანხვედრია. სკოლაში საგანმანათლებლო სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების დროს სასკოლო საზოგადოების წევრებმა აღწერეს სკოლაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესი : სტრატეგიული დაგეგმვა, სასწავლო პროცესის ორგანიზება , საინფორმაციო მართვის სისტემის წარმოება, საბიბლიოთეკო სერვისის განხორციელება, ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსების მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საქმის წარმოება.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

3. სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-24 (24.04.2024 წ.) დამტკიცებული გასაჩივრების დეტალური პროცედურების დოკუმენტი, რომლის მიზანია სკოლამ უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის უფლებების დაცვა. გასაჩივრის პროცედურები საჯაროა და ხელმისაწვდომი. კერძოდ დოკუმენტში დეტალურად განხილულია საჩივრის მიღების , განხილვის და შედეგის მიღების ეტაპები და ვადები, წარმომადგენლობის უფლება, მტკიცების ტვირთი და სტანდარტი, ადმინისტრაციული საჩივარი, აკადემიური საჩივრის განხილვის წესი და სხვა. კონკრეტული გადაწყვეტილებების, მიღწეული შედეგების ან უფლებათა დარღვევის შემთხვევების გასაჩივრების შესაძლებლობა სკოლაში აქვს როგორც მოსწავლეებს, ისე მათ მშობლებს და თანამშრომლებს. აღნიშნული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას მოსწავლეები და მშობლები იღებენ კლასის დამრიგებლების მხრიდან. ასევე სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილასაა განთავსებული ინფორმაცია საჩივრების პროცედურების შესახებ და აღნიშნული განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

4.სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია საკუთარი უფლებების შესახებ. ერთის მხრივ, ეს ასახულია შესაბამის ხელშეკრულებებში (სკოლის თანამშრომლებთან და მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები) ასევე, სკოლის მიერ შედგენილ დოკუმენტაციაში. მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან ირკვევა ,რომ მშობელს აქვს უფლება სკოლას მოსთხოვოს სასწავლო პროცესის წარმართვა მაღალკვალიფიციურად. საჩივრების განხილვის სისტემა გაწერილია შინაგანაწესში ვადებითა და პროცედურებითურთ. როგორც სკოლის

პერსონალს, ასევე, მოსწავლესა თუ მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვთ გაასაჩივრონ სკოლის გადაწყვეტილებები. აღნიშნულის შესახებ მათ მიეწოდებათ ინფორმაცია შინაგანაწესის განხილვის დროს. შინაგანაწესი გამოკრულია საჯაროდ სკოლის საინფორმაციო დაფასა და სკოლის ვებგვერდზე.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
- საგნობრივი კურიკულუმები.
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
- სკოლის შინაგანაწესი.
- თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები.
- გასაუბრება.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლისათვის მნიშვნელოვანია ჰქონდეს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-80.09.11.2023წ. დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი. სკოლის მიმართ ნდობის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოებისაგან მიღებული უკუკავშირის გაანალიზება, მიღწევებისა და პრობლემების გამოკვეთა და შემდგომში გათვალისწინება. სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში ყოველთვის ტარდება შეხვედრები მოსწავლეებთან, მათ

მშობლებთან, მასწავლებლებთან, რათა ინტერესისა და სურვილის შესაბამისად, საჭიროებებიდან გამომდინარე, სკოლა ინტერესდება მათი ხედვით, რათა ცვლილებების აუცილებლობის შემთხვევაში ყველას ინტერესი იყოს გათვალისწინებული. ამ მიმართულებით აქტიურად იყენებს სკოლა სხვადასხვა სახის საინფორმაციო წყაროებს, სოციალური ქსელს, მესენჯერ ჯგუფებს, სკოლის საინფორმაციო დაფას, რომელიც განთავსებულია სკოლის შესასვლელში და რომელზეც ყველა საჭირო ინფორმაციაა. ასევე, ელექტრონული ჟურნალი და სხვა.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულია სასკოლო საზოგადოების წევრები სამეურვეო საბჭოს მეშვეობით. საბჭოს წევრი მშობლები წარმოადგენენ მშობელთა ხმას სამეურვეო საბჭოში. თითოეული საფეხურიდან წარმომადგენელი, რომელიც სამეურვეო საბჭოს წევრია, მონაწილეობს სკოლის ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცესში. ასევე, ისინი მონაწილეობენ სასკოლო-სასწავლო გეგმის განხილვისა და შეთანხმების პროცესში. სამეურვეო საბჭოს წევრია, ასევე, სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რომელიც წარმოადგენს სკოლის მოსწავლეთა ხმას სამეურვეო საბჭოში. მშობლები და მოსწავლეები არიან სკოლის დისციპლინური კომიტეტის წევრებიც. სკოლაში არჩეულია მოსწავლეთა თვითმმართველობა. მშობლები მონაწილეობენ სასკოლო ღონისძიებებში, სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალ აბასთუმნის თვითმმართველობასთან დაგეგმილ სპორტულ და შემეცნებით ღონისძიებებში, საზოგადოებრივი სახლი „ოდას“ და ზუგდიდის „ახალგაზრდული სათათბიროს“ ჩატარებული ღონისძიებებში: „მხიარული სტარტები“, „ფრენბურთის ტურნირი“, „რა? სად? როდის?“ , „ერთად გავალამაზოთ სკოლის ეზო“ და სხვა.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებგვერდი.
- საინფორმაციო დაფა.
- პროექტების ამსახველი მასალა.
- გასაუბრება.

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ შამგონის საჯარო სკოლა აშენდა 2010 წელს, სკოლა საჭიროებს რეაბილიტაციას. სკოლა ჩასმულია რეკონსტრუქციის პროგრამაში, რომელსაც განახორციელებს გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KFW). განმახორციელებელს წარმოადგენს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას. სკოლამ აღნიშნულის დადასტურებად წარმოადგინა სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოებისა და დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი.

სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს საგანგებო შტაბი და აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან არის შეთანხმებული.(16.05.2024წ.N 240000533260) აღნიშნული დოკუმენტებითა და სკოლაში დასაქმებული პერსონალის ფუნქცია -მოვალეობებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას (სასკოლო წესრიგის უზრუნველყოფა), საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას. სკოლის შენობის ორივე სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და ყველა სართულზე დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები, რომლებიც არ იყო დამუხტული და რისი დამუხტვაც მოხდა ექსპერტთა ვიზიტის დროს. სკოლაში დამონტაჟებულია 16 ვიდეოსათვალთვალო კამერა , თუმცა არცერთი მათგანი არ მუშაობს და მწყობრიდანაა გამოსული. სკოლამ წერილით (24.08.2022წ.N220000938933) მიმართა აღნიშნულის შესახებ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს , თუმცა ამ დროისთვის სკოლა არ არის აღჭურვილი ვიდეოსათვალთვალო კამერებით. სკოლას ჰყავს 2 დარაჯი, რომლებიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას და მის შემდგომ პერიოდში უზრუნველყოფენ სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს 24 საათის განმავლობაში. სკოლას ასევე ჰყავს 2 მანდატური, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვას. მანდატურები თავის საქმიანობას წარმართავენ მანდატურის სამსახურის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

სკოლას აქვს კანონის შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო ოთახი და ჰყავს 1 ექიმი 2022 წლის 21 მარტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/5/01-23/5 -ის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი.(2-88. 20.11.2023წ)

სკოლას ჰყავს 1 სპეციალური მასწავლებელი და 1 ინდივიდუალური ასისტენტი. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი.

სკოლას ექსპერტთა ვიზიტის დროს არ ჰქონდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. წარმოადგინა წერილი სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიმართ შენობის ექსპლუატაციისა და მდგრადობის დადგენასთან დაკავშირებით (26.04.2024წ.N 2 240000470145)



წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია, რომ სკოლა 2026 წლის 22 ოქტომბრამდე უზრუნველყოფს აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებას. მტკიცებულებად წარმოადგინა წერილი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართ შენობის მდგრადობის შესახებ.

სკოლას აქვს მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. სკოლის მიერ წარმოდგენილია სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა MIA 01902027851 (01/08/2019 წ.), აღნიშნული დოკუმენტის თანახმად სკოლის შენობის მიზნობრივი სახანძრო-ტექნიკური შემოწმების (გამოკვლევის) დროს გამოვლენილია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევა, რომლის აღმოფხვრისათვის სკოლას მიცემული აქვს შესაბამისი ვადა. სკოლამ მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს (წერილი №5240000178369. (20.02.2024), სკოლას მიღებული აქვს პასუხი (წერილი №9240000192835. (21.02.2024), რომელშიც აღნიშნულია, რომ შეიქმნა სკოლის სახანძრო უსაფრთხოების სისტემების პროექტი.

სკოლამ ვიზიტის დროს არ წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია, რომ სკოლა 2026 წლის 22 ოქტომბრამდე უზრუნველყოფს ხარვეზის გამოსწორებას. მტკიცებულების სახით წარმოდგენილია სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წერილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ №06/ნ ბრძანების საფუძველზე სკოლას შექმნილი ჰყავს მრჩეველთა საბჭო. სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომრები. „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას გამოყოფილი არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით სკოლას მიეცა რჩევა - გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა. სკოლას განემარტა, რომ შეუძლია აიყვანოს ან დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, რომელიც სკოლას გაუწევს შესაბამის მომსახურებას შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.

სკოლაში არ ფუნქციონირებს ვიდეოსათვალთვალო კამერები. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია, რომ სკოლა 2026 წლის 22 ოქტომბრამდე უზრუნველყოფს ხარვეზის გამოსწორებას. მტკიცებულების სახით წარმოდგენილია სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წერილი



ვიდეო-სათვალთვალო კამერების ფუნქციონირების შესახებ.

რეკომენდაცია: სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში(22.10.2026წ) უზრუნველყოს

1.შენობის მდგრადობისა და ექსპლუატაციის შესახებ დასკვნა.

2.სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო ტექნიკური შემოწმების დასკვნა.

3. უზრუნველყოს ვიდეოსათვალთვალო კამერების ფუნქციონირება.

ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

2.სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები, კერძოდ სკოლის პირველ სართულზე მოწყობილია ექიმის კაბინეტი. სკოლას გაწერილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი.(ბრძანება N2-88. 20.11.2023წ) აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრულია პირველადი

გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები. პირველადი დახმარების პროტოკოლი გაზიარებულია სკოლის საზოგადოებისათვის და გამოკრულია ექიმის კაბინეტში და სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას. ექიმი სკოლის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოებს სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმასა და სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალს. სკოლას ემსახურება კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

3. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ერთობლივად უზრუნველყოფენ სკოლის დირექცია, მასწავლებლები, მანდატური, კლასის დამრიგებლები და სხვა პერსონალი. შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით განიხილავს უსაფრთხოების საკითხებს, სკოლის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც,

სკოლის დირექტორთან ერთად, კოორდინაციას უწევს უსაფრთხოების პოლიტიკის გატარებას. სკოლის შინაგანაწესი ამომწურავად განსაზღვრავს შესაძლო დარღვევებზე დისციპლინურ სახდელებს. სკოლაში გამოვლენილ დარღვევებზე ხორციელდება დროული და ეფექტური რეაგირება. არცერთი საზოგადოებრივი წესის დარღვევა არ რჩებასათანადო უკუკავშირის გარეშე. დარღვევები შესაბამისი რეაგირებებით ატვირთულია ერთიან ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში. ნებისმიერ პირთა შემოსვლა ფიქსირდება სპეციალურ აღრიცხვის ჟურნალში. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

4.სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასკოლო გარემო, სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი თავს გრძნობს დაცულად ფსიქოლოგიური და ემოციურად უსაფრთხო გარემო, როგორც ინტერვიუდან ჩანს, სკოლაში პრიორიტეტულია. დირექციის, ექიმის, მანდატურის სამსახურის წარმომადგენლების ინიციატივით პერიოდულად



იმართება როგორც საინფორმაციო ტიპის შეხვედრები, ისე სასკოლო პროექტები და აქტივობები ისეთ საკითხებზე, როგორიც არის: ძალადობა და ოჯახში ძალადობა; დისკრიმინაცია; ბულინგი და კიბერბულინგი; ჯანსაღი ცხოვრების წესი და ა. შ. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

5. ვიზუალური დათვალიერებით სკოლაში დაცულია სისუფთავე, როგორც კლასებში, ისე სველ წერტილებში. სკოლის ტერიტორიის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლა ჯეროვნად უზრუნველყოფს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფს 4 დამლაგებელი.

სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე ქალებისა და ცალკე ვაჟებისათვის, პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, დაცული, სუფთა, საზოგადოების კულტურული და სოციალური

განვითარების დონისთვის შესაფერისი, ხელმისაწვდომი სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. ყოველწლიურად მნიშვნელოვანი ფულადი რესურსი გამოიყოფა ბიუჯეტიდან და იხარჯება სკოლის შენობაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისთვის საჭირო რესურსების შესაძენად. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

6. სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის დოკუმენტი, დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-84(09.11.2023წ) რომლის მიზანია სკოლის მიზნების შესრულების პროცესში მიღებული პერსონალური მონაცემების დაცვა შესაბამისი იყოს საერთაშორისო სტანდარტებთან. აღნიშნული დოკუმენტი ვრცელდება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრზე და განსაზღვრავს მონაცემთა შეგროვების, დამუშავების და გამოყენების პრინციპებს და პროცედურებს. სკოლის პერსონალური მონაცემები დაცულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა eschool-ში. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეთა პირადი მონაცემების გასაჯაროებისათვის იყენებენ მშობელთა თანხმობის ფორმას. სკოლის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მონაცემები ინახება ელექტრონულ ჟურნალში, რომელზეც ხელი მიუწვდება მოსწავლეს, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. სკოლა უზრუნველყოფს როგორც მოსწავლისა და მისი მშობლის/მეურვის, ასევე - სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომლის პერსონალური მონაცემების დაცვას. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 3 პუნქტის 33- მუხლის თანახმად, სკოლას არ ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. სკოლას მიეცა რჩევა: გონივრულ ვადაში განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის აყვანა. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

7. სკოლის მიერ შემუშავებულია პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, რომელიც არეგულირებს



ინფორმაციის დაცულობასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ სკოლაში მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (სხვადასხვა დოკუმენტი, პირადი საქმეები) ინახება საქმის მწარმოებელთან. დოკუმენტებზე და/ანმათში დაცულ ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ საქმისმწარმოებლისგან აღნიშნული დოკუმენტაციის მიღების და შესაბამისი აღრიცხვის გზით. მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (პირადი საქმეები, კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმები), რომელიც არ არის აქტიურ მოხმარებაში, არქივდება და ინახება სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. ოთახი იკეტება გასაღებით, რომელიც ინახება პასუხისმგებელ პირთან. დაარქივებულ დოკუმენტებზე წვდომა შესაძლებელია დირექტორის ნებართვით, შესაბამისი წერილობითი საფუძვლისარსებობისას. სკოლა იცავს მონაცემების კონფიდენციალურობას. მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს და იმ მოცულობით, რომელთაც მონაცემები სჭირდებათ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად. სკოლის მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით. სკოლის თანამშრომლები გაფრთხილებული არიან ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ. სკოლის მიერ გაწერილი მექანიზმებით შესაძლებელია ინფორმაცია დაცული იქნას გარეშე პირების უკანონო წვდომისაგან.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

8.სკოლა ახორციელებს უსაფრთხოების ნორმების მონიტორინგს და ანგარიშს წარადგენს მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე. მრჩეველთა საბჭოს მიერ მოწოდებულ რეკომენდაციებს ითვალისწინებენ შემდეგ მუშაობაში. როგორც ინტერვიუსას გამოიკვეთა, სკოლაში არასდროს გამოვლენილა მძიმე ხასიათის დარღვევები, ამიტომ ასეთი რთული შემთხვევების მართვის გამოცდილებაც არ არსებობს. სკოლა სამომავლოდ გეგმავს უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებას, რის შედეგადაც ექნება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასების მექანიზმი. შეფასების შედეგებს გამოიყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი;
- სპეც-პედაგოგის ხელშეკრულება;
- მასწავლებელთა მორიგეობის ცხრილი;



- პერსონალურ მონაცემთა დაცვის დოკუმენტი.
- სადამრიგებლო პროგრამა
- სანიტარული კვანძების დასუფთავების გრაფიკი;
- სკოლის საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“; რომელიც შეთანხმებულია შსს-სდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან;

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
 - ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციალ-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ერთ ცვლაში. სკოლაში ამჟამად სწავლობს 202 მოსწავლე. თითოეულ მათგანს აქვს ინდივიდუალური მერხი და სკამი. სკოლას თვითშეფასების დოკუმენტში წარმოდგენილი ჰქონდა, რომ არ გააჩნდა შესაბამისი რაოდენობის სასკოლო მერხები და სკამები, თუმცა ვიზიტის პერიოდში სკოლას უკვე მიღებული ჰქონდა საკმარისი რაოდენობის მერხები, რომლის დადასტურებადაც წარმოადგინა მიღება- ჩაბარების აქტები.

სკოლის ეზო მოწესრიგებულია, შემოღობილია და უსაფრთხოა სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. შენობა არის ორსართულიანი. სკოლის შენობას აქვს ერთი შემოსასვლელი კარი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მოწესრიგებულად გადაადგილებას სასკოლო სივრცეში. სკოლის ეზოში განთავსებულია ღია სპორტული მოედანი. სკოლას შესასვლელში აქვს პანდუსი, თუმცა სკოლა ვერ უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა გადაადგილებას შენობაში. სკოლის შენობა არ არის ადაპტირებული, რადგან არ არის ადაპტირებული საპირფარეო და სართულებს შორის არ არის პანდუსები. სკოლის ორივე სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები. მეორე სართულზე განთავსებულია დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, კომპიუტერული ლაბორატორია, სველი წერტილები, საკლასო ოთახები, სამასწავლებლო, ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორია, ბიბლიოთეკა. პირველ სართულზე განთავსებულია რესურსოთახი, სამედიცინო კაბინეტი, სპორტული დარბაზი, საკლასო ოთახები, სველი წერტილები. სკოლას არა აქვს სააქტო დარბაზი. შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური წყალმომარაგებით, გათბობით, ელექტრომომარაგებითა და საკანალიზაციო სისტემით. სკოლის ტერიტორიაზე დგას დამხმარე შენობა, სადაც განთავსებულია გათბობის ქვების შენობა. სკოლის მთელ ტერიტორიას ფარავს უკაბელო ინტერნეტის სისტემა. სკოლის ეზოში არის სარეკრეაციო სივრცეები. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ დათვალიერებულ იქნა სასკოლო სივრცე: ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, კარადებით, სასკოლო დაფით, მოსწავლეთა მიერ შექმნილი რესურსებით და ნამუშევრებით. სკოლაში ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (ფიზიკის ცალკე, ქიმია/ბიოლოგიის ცალკე) კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი. ლაბორატორიაში განთავსებულია მულაჟები, ჰერბარიუმი, ქიმიური რეაქტივები, თვალსაჩინოებები. კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობის შესასრულებლად ყველა საჭირო რესურსი.

სკოლას ავტორიზაციის განაცხადი შევსებული აქვს 230 მოსწავლეზე. მიღება ჩაბარებებითა და შესყიდვის დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლას სასწავლო პროცესის სრულყოფილად უზრუნველსაყოფად აქვს 230 მერხი და სკამი, 40 ლეპტოპი, 6 კომპიუტერი ლაბორატორიაში, კომპიუტერები განთავსებულია სხვადასხვა სამუშაო სივრცეში (დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, ბუღალტერია), რომელსაც აქვს ინტერნეტთან წვდომა, 4 პროექტორი, 6 პრინტერი, 1 სმარტ დაფა.

სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები. ბიბლიოთეკას აქვს ბიბლიოთეკის დებულება,

სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი.

ბიბლიოთეკარს აქვს სარეგისტრაციო ჟურნალი. თაროებზე წიგნები დაწყობილია ანბანური პრინციპით. ყველა წიგნს პირველ და მე-17 გვერდზე სკოლის ბეჭედი აქვს დასმული. ბიბლიოთეკაში შექმნილია მყუდრო გარემო, რომ მოსწავლეებმა შეძლონ სასურველი წიგნის მოძიება და გაცნობა. სკოლის საქმისმწარმოებელთან ინახება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის გაფორმებული წიგნების მიღება-ჩაბარების აქტები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დაცვის მიზნით სკოლაში ტარდება ინვენტარიზაცია შემდეგი ინტენსივობით:

- უძრავი ქონების - სამ წელიწადში ერთხელ;
- ძირითადი აქტივების, ფასეულობების - ყოველწლიურად;
- საბიბლიოთეკო ფონდის ხუთ წელიწადში ერთხელ; ბიბლიოთეკარმა ისაუბრა წიგნების ჩამოწერის სირთულეზე.

სკოლას ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით დროებითი კომისიის შესახებ ბრძანება აქვს გამოცემული, რომლის საფუძველად გეგმიური შემოწმებაა მითითებული.

წარმოდგენილ იქნა მიღება-ჩაბარების აქტები, ანგარიშფაქტურები, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლას აქვს 230 მოსწავლის შესაბამისი საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა და მატერიალურ რესურსები.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება

2. სკოლის დირექტორთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით, ვიზუალური დათვალიერებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიის სარგებლობის წესი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების და ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი,) დასტურდება, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამასწავლებლო, სპორტული მოედანი, რესურსოთახი, სამედიცინო კაბინეტი, სველი წერტილები და მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, მოსწავლეებისათვის და მასწავლებლებისთვის, მშობლებისთვის. სკოლის ეზოში გამოყოფილია სივრცე მოსწავლეთა პრაქტიკული საქმიანობისთვის, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. სკოლის დირექტორის 2023 წლის 9 ნოემბრის N2-81 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“, რომლითაც განსაზღვრულია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსით სარგებლობის პირობები. სკოლის ფოიე, დერეფნები და ეზო იძლევა შესაძლებლობას სასკოლო საზოგადოებამ განახორციელოს სხვადასხვა აქტივობა.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

3. სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები და დადგინდა, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს ანბანური და თემატური კატალოგები, რაც ეხმარება მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სასურველი წიგნის მოძიებაში. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის

მუშაობის წესი, რაც რეგულირდება სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანებით N2-81 (09. 11.2023წ) მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის შესაბამისად. ამ დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლის ბიბლიოთეკაში დაცული საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენებისა და სარგებლობის წესი, რაც რეგულირდება „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი თვალსაჩინოაა გამოკრული სკოლის ბიბლიოთეკაში და გამოქვეყნებულია სკოლის ვებ გვერდზე. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

4. სკოლა ხელმძღვანელობს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ინკლუზიური განათლების განხორციელების ერთწლიანი სამოქმედო გეგმით, (N2-66-ა. 29.09.2023წ.) რომელშიც გაწერილია სასწავლო წლის პერიოდისათვის განსახორციელებელი აქტივობები და პასუხისმგებელი პირები შენობის პირველ სართულზე განთავსებულია რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო, შესაბამისი და აუცილებელი ინვენტარით. სსსმ მოსწავლეთათვის შესაბამისი სერვისების მიწოდების მიზნით სკოლას ჰყავს ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, ერთი სპეციალური მასწავლებელი. სკოლის შემოსასვლელ კიბეებთან მოწყობილია პანდუსი, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის დროს არ იყო ადაპტირებული სველი წერტილი და შენობის შიდა კიბეებზე პანდუსები, რაც ზღუდავს ეტლით მოსარგებლე პირების გადაადგილებას. ინკლუზიური გარემოს თვალსაზრისით არ აქვს ადაპტირებული საპირფარეშო და სართულებს შორისპანდუსები.

სკოლას წარმოადგინა წერილი ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსათვის აღნიშნული საკითხის მოგვარების მიზნით (22.02.2024წ. mes 3 240000196187)

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც აღნიშნული ხარვეზის შესრულების ვადად მითითებულია 2026 წლის 22 ოქტომბერი. სკოლამ წერილით მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს სკოლის ადაპტირებული გარემოს მოწყობის მიზნით.

რეკომენდაცია: სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (26.10 .2026წ) უზრუნველოს სკოლის ადაპტირებული გარემოს მოწყობა.

ინდიკატორი სტანდარტს ნაწილობრივ შეესაბამება.

5. სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, ფოიე, რეკრეაციული სივრცეები, სადაც იმართება სხვადასხვა სახის პროექტი და აქტივობა. სკოლის ბიბლიოთეკარი ჩართულია სასკოლო ცხოვრებაში. ბიბლიოთეკის სივრცეში ეწყობა პროექტები. დამრიგებლებთან გასაუბრებით და მათ მიერ წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამებით, პროექტებით დასტურდება, რომ სკოლა ხელს უწყობს შემოქმედებითი და პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეებს და სასკოლო საზოგადოებას განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. სკოლაში არის ინტერნეტი და კომპიუტერული ტექნიკა. დამატებითი რესურსების საჭიროებას ადგენენ კათედრები. მათი მოთხოვნის საფუძველზე სკოლა გეგმავს და იძენს საჭირო რესურსებს. სპეც მასწავლებლის მიერ ყოველი წლის დასაწყისში ისაზღვრება იმ კონკრეტული ტიპის რესურსების ჩამონათვალი, რომლებიც საჭიროა სკოლის სსსმ მოსწავლეებისათვის. სკოლის



ბიბლიოთეკაში არის ყველა ტიპის მეთოდოლოგიური ლიტერატურა, ასევე, კომპიუტერები და სივრცე იმისათვის, რომ იმ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, რომელთაც არ მიუწვდებათ ელექტრონულ მოწყობილობებზე, დავალებები სკოლაში შეასრულონ. ამისათვის გამოიყენება კომპიუტერული ლაბორატორიაც. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

შეფასება:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- შენობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ბიბლიოთეკის დებულება;
მატერიალური წესით სარგებლობის წესი.
- მასწავლებელთა პორტფოლიო;
- ლაბორატორიებით სარგებლობის წესები;
- ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია

- საინვენტარიზაციო უწყისი.

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესების სრულფასოვან წარმართვას. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, სულ სკოლის ბალანსზე ირიცხება 40-ლექტოპი, 6-პრინტერი, 6-კომპიუტერი, 4-პროექტორი. აღნიშნული რესურსი გადანაწილებულია ადმინისტრაციის წევრებს შორის, კომპიუტერულ ლაბორატორიასა და ბიბლიოთეკაში. სკოლის მთელი შენობა დაფარულია wi-fi -ით. შესაბამისად, სასკოლო საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა ზემოთ ჩამოთვლილი რესურსის გამოყენებით სრულფასოვანი სასწავლო პროცესი შესთავაზოს მოსწავლეებს, გააცნოს კომპლექსური თუ შემაჯამებელი დავალებები ელექტრონული რესურსის გამოყენებით, თანამედროვე მეთოდოლოგიით ჩაატარონ სხვადასხვა აქტივობა. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, რომელიც საშუალებას აძლევს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ჰქონდეთ ინფორმაცია მოსწავლეების გაცდენა/დასწრების, ნიშნების, კომენტარების, დავალებების, საბოლოო საშუალო ქულების, რეიტინგების, ნიშნების ფურცლისა და სხვა ტიპის რეპორტების შესახებ. სკოლას აქვს სოციალური ქსელი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველასთვის. სკოლა ელექტრონული საქმის წარმოებისთვის იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს - email.mes.gov.ge, eflow.emis.ge, eschool.emis.ge. ეს რესურსი შესაძლებლობას იძლევა, სკოლამ სრულფასოვნად წარმართოს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესი. სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვისათვის სკოლას დაგეგმილი აქვს ინფორმაციული

ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარება და გაუმჯობესება და დადასტურებად წარმოადგინა ციფრული განვითარების გეგმა, სადაც აღწერილია თუ როგორ მოახდენს სკოლის სრულ გაციფრულებას. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

2. სკოლის დირექტორის N 2-81(09.11.2023წ) ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“, რომლითაც განსაზღვრულია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსით სარგებლობის პირობები, მათ შორის კომპიუტერული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესია განსაზღვრული. გასაუბრებისას სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია მათთვის, კერძოდ აქვთ საშუალება ნებისმიერ საკლასო ოთახსა თუ კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ასევე, სამასწავლებლოსა და ბიბლიოთეკაში ისარგებლონ სასკოლო რესურსით. დარჩენენ გაკვეთილების შემდეგ, მოაწყონ სამუშაო შეხვედრები, დაესწრონ ნებისმიერ ონლაინ ტრენინგს, აიმაღლონ კვალიფიკაცია, გაესაუბრონ მშობლებს, განახორციელონ პროექტები და ა. შ. მასწავლებლებს ან მოსწავლეებს, რომელთაც არ აქვთ სახლში შესაბამისი მოწყობილობები, შეუძლიათ სკოლაში არსებული მოწყობილობებით სარგებლობა. სასკოლო რესურსები უზრუნველყოფს სკოლის პერსონალის განვითარების მხარდაჭერას. კომპიუტერულ ლაბორატორიაში ხშირად ტარდება სხვადასხვა ტიპის შეხვედრები, ონლაინ ჩართვები. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი.
- ინვენტარიზაციის მასალები;
- ვებ-გვერდი;
- სოციალური ქსელი;
- Wi-fi ს მიღება-ჩაბარება;
- email.mes.gov.ge, eflow.emis.ge. eschool.emis.ge-ზე მიმოწერების ამსახველი ფოტომასალა;
- გასაუბრება.
- კურიკულუმები;
- ციფრული განვითარების გეგმა;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;



3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი, რაც დამტკიცებულია დირექტორის N2-90 (20.11.2023წ) ბრძანებით. დოკუმენტის თანახმად საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას სკოლაში ახორციელებს საქმისმწარმოებელი. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ელექტრონული დოკუმენტ-ბრუნვის სისტემა Eflow, სადაც ხდება შემოსული და გასული კორესპოდენციების ელექტრონულად წარმოება, დირექტორის ბრძანებების გატარება, სამსახურებრივი ბარათებისა და წერილების ასახვა. სკოლას აქვს სრულყოფილი ელექტრონული ბაზა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - Eschool. სკოლა კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან ანგარიშების წარდგენას. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. პირად საქმეებში შენახულია კანონით განსაზღვრული დოკუმენტაცია: დასაქმებულის პირადი განაცხადი, CV, პირადობის მოწმობის ასლი, ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი, . მოსწავლის პირად საქმეში წარმოდგენილია - დაბადების მოწმობა ნოტარიულად დამოწმებული, მშობლის განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ასლები, ფოტო, ჯანმრთელობის ცნობები მოსწავლეთა ნაწილთან.

სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია, კერძოდ, მიღება ჩაბარების აქტები, შესყიდვის დამადასტურებელი ხელშეკრულებები ელექტრონული ხელმოწერით, საგადახდო დავალებები, ბაზრის კვლევის მასალები, ინვენტარიზაციის ოქმები, ხელფასების გაცემის უწყისი, სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი, იჯარის დოკუმენტები და ა.შ. რომელიც აკინძულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

2.სკოლა მართვისთვის იყენებს სკოლის ელექტრონულ დოკუმენტ-ბრუნვის სისტემას Eflow, eschool, სკოლა, ასევე, იყენებს სკოლის ელექტრონულ ფოსტას,სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის (shamgona@mes.gov.ge) საშუალებით მოდის წერილები, სიახლეები. საჭიროებისას დაგადაუდებელი აუცილებლობისას სკოლის სამუშაო შეხვედრები იმართება Teams-ის პლატფორმის გამოყენებით. გარდა პირისპირ შეხვედრებისა, ამავე პლატფორმას იყენებენ დამრიგებლები მშობლებთან ურთიერთობისთვის.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (Eschool). ელექტრონული ბაზა და შეტანილია სავალდებულო ინფორმაცია: მოსწავლეთა და თანამშრომელთა მონაცემები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვა. ბაზა მუდმივად განახლებადია ინფორმაციის თვალსაზრისით. უსაფრთხოების

უზრუნველსაყოფად, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, არქივზე პასუხისმგებელი პირი და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს. სკოლას საქმისწარმოების წესით განსაზღვრული აქვს ანგარიშგებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა, რომლის დაცვითაც უზრუნველყოფს შესაბამის პროცესებს. სკოლა ყოველი წლის 10 დეკემბრამდე წარუდგენს საჯარო ინფორმაციის შესახებ ანგარიშს საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს, ანგარიში ქვეყნდება საკანონმდებლო მაცნეში; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარედგინება წლიური ბალანსი; სამეურვეო საბჭოს ყოველი წლის 10 დეკემბრამდე წარედგინება სკოლის დირექტორის წლიური ანგარიში სასწავლო პროცესის წარმართვისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- ერთიანი ელექტრონული სისტემა.
- ვებგვერდი.
- თანამშრომელთა პირადი საქმეები.
- 10 დეკემბრის ანგარიშები.
- სამეურვეო საბჭოს ოქმი.
- სკოლის მიერ შედგენილი და დამტკიცებული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;



2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელიც სკოლის შესახებ ზოგად ინფორმაციას იძლევა. ვებ- გვერდზე არის ინფორმაცია სკოლასთან საკომუნიკაციო საშუალებების შესახებ. მშობლებთან და მოსწავლეებთან კომუნიკაციის საშუალებად გამოიყენება სკოლის სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული ჟურნალი. გარდა ამისა დამრიგებლებს მშობლებთან აქვთ სატელეფონო ან/და სოციალური ქსელებით კომუნიკაცია. საზოგადოების ინფორმირებისთვის ასევე გამოიყენება სკოლის საინფორმაციო დაფა. დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი“, რომლის მიზანს წარმოადგენს სკოლასა და თემს შორის, სასკოლო საზოგადოებას შორის ჩამოყალიბდეს ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული კომუნიკაცია. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

2. სკოლის საქმიანობის, მათ შორის სკოლის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე <https://skolebi-admin.emis.ge/dashboard>; სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სანდო და უტყუარ ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირი-საქმისმწარმოებელი, რომელიც აღნიშნულ გვერდებზე ავრცელებს მხოლოდ გადამოწმებულ ინფორმაციას. სოციალურ ქსელში, სხვადასხვა საკომუნიკაციო არხზე, დახურულ ჯგუფებში სკოლის მიერ განხორციელებული ინფორმაცია განხორციელებული ღონისძიებების, კონკურსების, პროექტების და სხვადასხვა აქტივობის შესახებ არის გადამოწმებული, სწორი და უტყუარი. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის შესახებ უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.



3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის



ხარისხის გასაუმჯობესებლად; სკოლას აქვს სასკოლო საზოგადოებისაგან ელექტრონული არხები (კითხვარები, რომლისთვისაც იყენებს Google Forms, Microsoft Forms რესურსს) უკუკავშირის მიღების გამოცდილება, რასაც იყენებს შემდგომი საქმიანობის დასაგეგმად. მაგალითად, პედაგოგები პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისას, აქტიურად იყენებენ კითხვარებით მოსწავლეთა გამოკითხვას, ხოლო შედეგებიდან გამომდინარე, სახავენ ინტერვენციას.

სკოლა ნებისმიერი საშუალებით მიღებულ უკუკავშირის განიხილავს და აანალიზებს, თუ რამდენადაა შესაძლებელი ამ უკუკავშირის მიხედვით რამის შეცვლა, ითვალისწინებს მოქმედ კანონმდებლობასა და ფიზიკურ შესაძლებლობებს და აუცილებლად ცვლის დამოკიდებულებას. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი <https://skolebi-admin.emis.ge/dashboard>, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია სახელმწიფო ენაზე. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

5. სკოლის ვებ გვერდი შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში და საკონტაქტო ინფორმაცია. ვებგვერდზე სკოლა უწყვეტ რეჟიმში განაახლებს ინფორმაციებს მიმდინარე და დაგეგმილი სიახლეების შესახებ. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საჯარო სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი.
- ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში.
- სკოლის სტრატეგიული გეგმა.
- სკოლის სამოქმედო გეგმა;
- სკოლის ვებ გვერდი <https://skolebi.emis.ge>

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ფინანსურად მდგრადია. სკოლის ბიუჯეტი განსაზღვრულია ვაუჩერული დაფინანსებიდან და დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლის დირექტორთან და ბუღალტერთან გასაუბრებით, წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლას შეუძლია დააფინანსოს სკოლის მოსწავლეთა საჭიროებები და დაგეგმილი ღონისძიებები, რაც სკოლის სამოქმედო გეგმითაა გათვალისწინებული. სკოლის ბიუჯეტს დირექტორი დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები, მომდევნო წლის პრიორიტეტები. წლიური შესყიდვების გეგმას ადგენენ წინა წლებისა და ბაზრის კვლევის გათვალისწინებით. სკოლის ბიუჯეტი აძლევს სკოლას სამოქმედო გეგმის განხორციელების შესაძლებლობას. სკოლა ყოველი წლის ბოლოს წარადგენს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, სადაც გათვალისწინებულია ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასება, ანალიზი და შედეგად შემდგომი აქტივობების დაგეგმვა. ამ ანგარიშების გაცნობით დასტურდება, რომ ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელებას.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. სკოლა ფინანსურ რესურსებს მართავს მიზნობრივად. სკოლის დირექტორი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აზარებს სკოლის სამეურვეო საბჭოს 10 დეკემბრამდე ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, დირექტორის წარდგინებით სკოლის სამეურვეო საბჭოს ცვლილებები შეაქვს ბიუჯეტში. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია მონიტორინგის ფორმები და შეფასების ინდიკატორები, გარდა აღნიშნულისა, სკოლა ყოველი წლის ბოლოს ქმნის კომისიას,



რომელიც ატარებს ფინანსური აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციას. ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტი;
- წლიური ფინანსური ანგარიშების დოკუმენტი;
- ბრძანება სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი.
- დირექტორის ანგარიში.

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, მოსწავლეთა ეთიკის კოდექსი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესი და პირობები. შინაგანაწესში დაწვრილებით არის გაწერილი როგორც მოსწავლის წახალისების, ისე - დისციპლინური წარმოების წესი. მოსწავლის დისციპლინური გადაცდომისა და პასუხისმგებლობის სახეები, დისციპლინური სახდელები შესაბამისობაშია დისციპლინურ გადაცდომებთან ისე, რომ არ ირღვევა მოსწავლის საუკეთესო ინტერესები, დაცულია ინფორმაციის კონფიდენციალურობის საკითხი, ყველა საკითხი შესაბამისობაშია ზოგადი განათლების კანონთან და ბავშვის უფლებათა კოდექსთან. შიდასასკოლო რეგულაციები, დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, მასწავლებელთა მორიგეობა, კლასის ხელმძღვანელთა მუშაობა და ანგარიშები ადასტურებს, რომ სკოლაში მოსწავლეთათვის დაცულია უსაფრთხო გარემო. ვიზიტის დროს ინტერვიუებისას ნათელი გახდა, რომ მოსწავლეთა ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფას ემსახურება მთელი სასკოლო საზოგადოება, თვითგამოხატვის უზრუნველყოფა ხდება სასკოლო ცხოვრების ყველა დონეზე მოსწავლეთა ჩართულობით. ყოველწლიურად სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში ხდება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევა, რომელსაც თავისი წარმომადგენელი ჰყავს სკოლის უმაღლეს კოლეგიალურ ორგანოში - სამეურვეო საბჭოში. ასევე, თვითმმართველობის ინიციატივით მოსწავლეთა სურვილების და საჭიროებების გათვალისწინებით იქმნება კლუბები. საგნის მასწავლებლები და კლასის ხელმძღვანელები მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე მათივე მონაწილეობით გეგმავენ და ახორციელებენ პროექტებს. სასკოლო გეგმაში, ასევე, აღწერილია ინკლუზიური განათლების განხორციელების პროცედურები, სსსმ მოსწავლისთვის ინდ. გეგმის შემუშავების რეგულაციები. სსსმ მოსწავლეებისთვის სკოლას გამოყოფილი აქვს რესურსთაბი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო მატერიალური და ტექნიკური რესურსით. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**
2. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. შინაგანაწესში აღწერილია მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები, ქცევის წესები. დამრიგებლების ფუნქციებში გაწერილია მოსწავლეთათვის შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება. სკოლას აქვს სოციალური გვერდი, რომელზეც ქვეყნდება შესაბამისი დოკუმენტები და ინფორმაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსწავლის



კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

3. სკოლა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან აფორმებს კანონმდებლობის შესაბამის ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს ხელშეკრულების სავალდებულო პირობებს, სკოლის ვალდებულებებს და უფლებებს, მოსწავლის მშობლის ვალდებულებებს და უფლებებს, მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების უფლებებს, ხელშეკრულების მოქმედების და შეწყვეტის პირობებს, დავის გადაწყვეტისა და დამატებით პირობებს. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი #17 შინაგანაწესი

დანართი # 36 მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები

დანართი # 52 მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №04/ნ 2017 წლის 11 იანვარი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ. სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებას, რის დამადასტურებლად წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა სტატუსის შეჩერების ბრძანება N 2-93, ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსისთვის გაგზავნილი წერილი რომელშიც ითხოვს მოსწავლის მანდატურის სოციალური სამსახურისთვის გადაცემას რეაგირებისთვის. მოსწავლეთა პირადი საქმეების გაცნობისას ცხადი გახდა საფეხურის დაძლევის და მობილობის პრაქტიკა. სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედება. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

2. ინდიკატორი არ ივსება პირველადი ავტორიზაციის დროს.

3. სკოლას გააჩნია ვებგვერდი, სადაც მითითებულია საგანმანათლებლო სტატუსი, მისია, ხედვა, ღირებულებები, სკოლის სტრუქტურა, სტრატეგიული გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, შინაგანაწესი, ბიუჯეტი.

სკოლას ასევე გააჩნია სოციალური Facebook გვერდი შამგონის საჯარო სკოლა, სადაც რეგულარულად ქვეყნდება სასკოლო ცხოვრების ამსახველი ცნობები, რომელიც ძირითადად გამოხატავს სასწავლო პროცესის მაჯისცემას და მიმართულია საზოგადოების ინფორმირებისკენ, კერძოდ სკოლაში არსებული სასწავლო პროგრამების და წარმატებული პროექტების გაცნობისკენ. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

4. სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე ასახულია ინფორმაცია აქტივობების შესახებ. ხელმისაწვდომია გარკვეული რესურსებიც. განთავსებული ინფორმაცია გამჭვირვალეა, სკოლის facebook გვერდზე მოსწავლეთა სურათები მშობელთა თანხმობის საფუძველზეა გამოქვეყნებული და არ შეიცავს რაიმე ფორმის მადისკრიმინირებელ ინფორმაციას. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი # 58 მოსწავლის ჩარიცხვა ადაპტაცია

დანართი # 55 მოსწავლის სტატუსის შეჩერება

სკოლის ოფიციალური ვებგვერდი სკოლები ჯი ზე

სკოლის Facebook გვერდი „შამგონის საჯარო სკოლა“

შეფასება:



- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინტერვიუების დროსაც და ინფრასტრუქტურის დათვალიერებისასაც გამოიკვეთა, რომ სკოლა ზრუნავს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციაზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პირველკლასელთა სასკოლო გარემოსთან შეგუების პროცესს. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ასევე ხელს უწყობენ მობილობით გადმოსულ მოსწავლეს სასკოლო და სასწავლო გარემოში ადაპტირებაში. კლასის ხელმძღვანელებს სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილი აქვთ სხვადასხვა აქტივობა, მაგ: შიდასასკოლო ექსკურსია, რომელიც გულისხმობს სკოლის ინფრასტრუქტურასთან ადაპტაციას და სკოლის პერსონალთან ურთიერთობას. მოსწავლის წრდგენას კლასელებისთვის ურთიერთგაცნობის და დაახლოების მიზნით და სხვა. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**
2. **ინდიკატორი არ ივსება პირველადი ავტორიზაციის დროს.**



3. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მოსწავლეებს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისთვის უწევენ კონსულტაციებს, კერძოდ, მოსწავლეებისთვის ტარდება დამატებითი შეხვედრები და მიეწოდებათ სხვადასხვა რესურსი. განმავითარებელი კომენტარებით დასტურდება მოსწავლეთა მოტივირების და სწავლის შედეგების გასაუმჯობესებელი ღონისძიებები. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**
4. სკოლა მზადაა სათანადო კონსულტირება გაუწიოს მოსწავლეს, რისთვისაც იყენებს მოსწავლეთა თვითშეფასების ინსტრუმენტებს და რემედიაციულ პროცესებს. კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება ექსტერნის გამოცდებზე მოსწავლეთა რეგისტრაცია და მათთვის შესაბამისი გამოცდების ორგანიზება, რისთვისაც სკოლაში იქმნება კომისია. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**
5. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმით დამატებით სავალდებულო მომსახურებას არ სთავაზობს მოსწავლეებს, დაწესებულების ადმინისტრაცია მაქსიმალურად ცდილობს ხელი შეუწყოს არაფორმალური აქტივობების განხორციელებას, რაც გამოიხატება სხვადასხვა ხასიათის და შინაარსის ღონისძიებებში, საგანმანათლებლო და შემეცნებით ექსკურსიებში და ა.შ. სკოლაში ნაყოფიერად მუშაობს მოსწავლეთა თვითმმართველობა, ეკოკლუბი, იდეატორთა კლუბი. სკოლა თანამშრომლობს ასოციაცია ათინათთან პროექტ „ახალგაზრდობის ჩართულობა და განვითარება“ ფარგლებში. სკოლაში ვიზიტის დროს ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში ხდება არაფორმალური აქტივობებისა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა. სკოლამ ექსპერტთა ვიზიტის განხორციელებისას წარმოადგინა საკლუბო მუშაობის ამსახველი არაერთი დოკუმენტი. სკოლის შენობაში თვალსჩინოდაა წარმოდგენილი მოსწავლეთა აქტივობები არაფორმალური განათლების მიმართულებით. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**
6. სკოლაში არსებობს სხვადასხვა საშუალებით (სადამრიგებლო საათის პრაქტიკა, სადამრიგებლოს გეგმები, მშობელთა ჩატები, უშუალო კომუნიკაცია, მშობელთა კრებების პრაქტიკა.) მოსწავლეთა /მშობელთა და დაინტერესებული პირებისგან უკუკავშირის მიღების პრაქტიკა, რაც გათვალისწინებულია მოსწავლეთათვის მომსახურების გაწევისას. დაწესებულებამ წარმოადგინა დამრიგებლის ჟურნალი, სხვადასხვა ფორმის კითხვარი მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გამოკვეთის მიზნით. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- სასკოლო სასწავლო გეგმა



- პირველკლასელთა ტრანზიციაზე პასუხისმგებელი პირი
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლისთვის მიცემული განმავითარებელი უკუკავშირები
- შესრულებული დავალებების ანგარიში და შეფასებები
- სკოლის რესურსოთახის ამსახველი სურათები.
- კლუბების წესდება
- სადამრიგებლო საათი
- ტრანზიცია
- ღონისძიებები
- ანკეტა კითხვარი

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით მუშაობის გამოცდილება, რაც გამოიხატება გასვლით გაკვეთილებში, უნივერსიტეტთან თანამშრომლობაში, სკოლაში შესაბამისი სტუმრების მოწვევასა და აღნიშნული საკითხების კომპლექსურ დავალებებში ინტეგრაციაში. სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოსწავლეთა განვითარების გზას პროფესიული ორიენტაციისა და დასაქმების ხელშესაწყობად. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომ კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, რაც შესაბამისობაშია სკოლის მისიასა და გრძელვადიან მიზნებთან.



საგნობრივ კათედრებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა სხვადასხვა სახის პროექტების განხორციელება პროფესიული ორიენტაციის გასაძლიერებლად. ნიკო კეცხოველის პრემია 2024 წლის ფარგლებში განხორციელებულია აქტივობები: თხილის ბაღის გასხვლა, ბიოჩითილების გამოყვანა, სათევზე მეურნეობაში ვიზიტი, ჩამდინარე წყლების ნაგებობაზე ვიზიტი, ვიზიტი სატყეო მეურნეობაში, პროექტი-განახლებად ენერგიაზე მომუშავე სისტემა; პლასტმასას ნარჩენების გამოყენებით სახლის თბოიზოლაცია; გათბობის სისტემის ეფექტურობის კვლევა. კომპოსტირების კულტურის დანერგვა და უამრავი სხვა აქტივობა. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

2. **ინდიკატორი არ იცემა პირველადი ავტორიზაციის დროს.**

3. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის დირექცია ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს და მოსწავლეთა პროფესიული ინტერესების გათვალისწინებით გეგმავს ყველაზე მოთხოვნადი პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრებს. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის Facebook გვერდი „შამგონის საჯარო სკოლა“

ეკოკლუბის მუშაობის ამსახველი მასალა.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის და ასევე, მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც შესაბამისობაშია ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N16/ნ ბრძანებასთან. სკოლაში ამჟამად ორი სსსმ



მოსწავლე სწავლობს. სკოლაში ერთი რესურსოთახია სრულად აღჭურვილი. შემუშავებულია რესურსოთახში მოსწავლესთან მუშაობის ცხრილი. სკოლამ წარმოადგინა სსსმ მოსწავლეთან საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

2. სკოლა იყენებს სსსმ მოსწავლეების განვითარებაზე ორიენტირებულ განმავითარებელი შეფასების სისტემას. შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები საგნების მიხედვით. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი და ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა. სკოლას საავტორიზაციო ვიზიტის დროს ყავდა ორი სსსმ მოსწავლე, რომელთაგან ერთს შესაძლოა მოხსნოდა სსსმ სტატუსი, რაც მეტყველებს სსსმ მოსწავლეების წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერაზე სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და თანამშრომლობით **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები
- სსსმ მოსწავლისშიდა მონიტორინგის დასკვნა..
- ღონისძიებების ამსახველი ფოტომასალა.
- სამართლებრივი აქტი ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ.
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა.
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.
- დამატებით წარმოდგენილი საგნობრივი ისგ-ები

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);



2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მოსწავლეებს ემსახურება ტრანსპორტი, რომელსაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლება უზრუნველყოფს აღნიშნულ მომსახურებას განათლების სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. სკოლის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული ზეპირად. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**
2. დამატებითი მომსახურების დაადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა ტრანსპორტის მომსახურებაზე მონიტორინგის განმახორციელებელი პირის გამოყოფის შესახებ ბრძანება N 2-62. აღნიშნული მომსახურების მონიტორინგი ხორციელდება ყოველდღიურ რეჟიმში. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დაადასტურდა აღნიშნული მომსახურების არსებობა, მომსახურების მიმღებმა პირებმა გამოხატეს დიდი მადლიერება. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**
3. ტრანსპორტირებით მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვითა და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს, რისი მტკიცებულებაცაა ტრანსპორტის ტექნიკური ინსპექტირების ანგარიში. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტრანსპორტის მომსახურებაზე მონიტორინგის განმახორციელებელი პირი დანართი #68

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.



- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება



☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- 2023-24 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- კათედრის სხდომის ოქმი
- ისგ- შემუშავების ბრძანება
- ვერიფიკაციის მექანიზმი და მოსწავლეთა შეფასების წესი
- კურიკულუმები



- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- შინაგანაწესი
- ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმები

სკოლის მიერ მოწოდებული იქნა საგნობრივი კურიკულუმები, შეფასების ფორმები, კომპლექსური დავალებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, გაკვეთილის გეგმები.

